



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 43
 31/05/2017

43-07-4-201705311126



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №43
 2017 წლის 30 მაისი
 ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლის მე-9 პუნქტით დამტკიცებული დანართი N9 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ნეუბაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

- 1 პროგრამის სახელწოდება:
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- 2 პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
- 3 პროგრამის მიზანი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება.
- 4 პროგრამის აქტუალობა:
შეტირებული მოსახლეობის დახმარება.
- 5 სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:

მშენებლობა	სოც. უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	სხვა (მიუთითეთ)
ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	ეკონომიკა	
- 6 პროგრამის აღწერა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარების, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარის ოდენობისა. ასევე ბენეფიციარებისათვის, რომელთაც ესაჭიროება: გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები, მათ შორის "ც" კატეგორიით დაავადებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებს ლიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განისაზღვროს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა, კონსერვატიული მკურნალობა-არაუმეტეს 500 ლარისა.

- 7 პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

საკუთარი უფლებამოსილება	დელეგირებული უფლებამოსილება
-------------------------	-----------------------------
- 8 პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
- 9 კავშირი სხვა პროგრამებთან
სოციალური დაცვის პროგრამები
- 10 პროგრამის სტატუსი:

ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
-----------	-------	--------------
- 11 პროგრამის განხორციელების ვადები:

დაწყება: 1/1/2017	დასრულება: 12/31/2017
-------------------	-----------------------
- 12 გადახდა

ამოცანა 1.	ოპერაციის ან მკურნალობის თანხის ნაწილობრივი დაფინანსება	ღონისძიება 1 წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის გადარიცხვა.
------------	---	--
- 13 პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:

№	დასახელება	სულ
1	ოპერაციის ან მკურნალობის თანხის ნაწილობრივი დაფინანსება	60 000 ლარი
2	"ც" კვატით დაეფინანსებულ ლანხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებს დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება	10 000 ლარი
3	სულ ხარჯი:	70 000 ლარი

14 მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

1	პროგრამა შეფასებულია დადებითად
---	--------------------------------

15 მოსალოდნელი შედეგები:

1	ეკონომიკური	
2	სოციალური	სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება
3	ეკოლოგიური	
4	სხვა	

16 მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ლანხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები რომლებიც საქართვებს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარებას.

17

18 პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:

ლანხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი *თ. ფორცხალიაშვილი* /თ. ფორცხალიაშვილი/

19

შეთანხმებულია: იურიდიული სამსახური: *მ. ჩაგუნავა* /მ. ჩაგუნავა/

საგონანს ხმსსსსსს:



/გ. გსშბოს/